

სკრინინგის ანგარიში შემუშავებულია საკონსულტაციო კომპანია

„აგრო სოლუშენს“-ის მიერ

კომპანიის რეგისტრაციის ნომერი: 419997007

რეგისტრირებული ოფისის მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი,
ნუცუბიძის ქ.N139 ბინა #8

კომპანიის დირექტორი: დიანა ბერია

ტელეფონის ნომერი: 577 15 23 39 / 0322 500-118

ელექტრონული ფოსტის მისამართი: diana@as.ge

შპს „ივრის ნუშები“
სიღნაღის რაიონი, სოფელი ბოდბე

**სამელიორაციო სისტემის მოწყობა/ექსპლუატაციის
სკრინინგის ანგარიში**

კომპანიის დასახელება	შპს „ივრის ნუშები“
საიდენტიფიკაციო კოდი	440 397 866
მდებარეობა	სიღნაღის რაიონი, სოფელი ბოდბე
დაგეგმილი საქმიანობა	ნუშის ბაღის გაშენება
გასაშენებელი ბაღის საკადასტრო კოდი	ს/კ: 56.10.70.165 56.10.70.163
საქმიანობის სახე	სამელიორაციო სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია
დირექტორი	ქეთევან ჯანგულაშვილი
საკონტაქტო ტელეფონი	577 15 23 39

ზოგადი ცნობები

შპს „ივრის ნუშები“ ს/კ 440 397 866 სიღნაღის რაიონ, სოფელ ბოდბეში ფლობს 50 ჰექტრიან სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთს (საკადასტრო კოდი 56.10.70.165 56.10.70.163) და გეგმავს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას, ნუშის ბაღების გაშენებას. ბაღის მოსარწყავად იგეგმება წვეთოვანი მოწყობის ქსელის მოწყობა. უახლოს პერიოდში (2021-2022 წლებში) იგეგმება გასაშენებელი ფართობის გაზრდა 100 ჰექტრამდე, შესაბამისად სკრინინგის ანგარიშში მოცემული მახასიათებლები, სიმძლავრეები და მოცულობები სრულად მორგებულია 100 ჰექტრისთვის საჭირო მონაცემებს.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის პირველი პუნქტის 1.3 ქვეპუნქტის შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო ფართობზე სამელიორაციო სისტემის მოწყობასთან, ექვემდებარება სკრინინგის გადაწყვეტილებას.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის შესაბამისად შემუშავებული იქნა სკრინინგის ანგარიში.

წარმოდგენილი ანგარიში მოიცავს ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ:

- ✓ საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ

საქმიანობის მოკლე აღწერას, კერძოდ, ზოგად ინფორმაციას:

- ✓ საქმიანობის ფიზიკური მახასიათებლების შესახებ
- ✓ ზოგად ინფორმაციას გარემოზე შესაძლო ზემოქმედების, მისი სახეების და მასშტაბების შესახებ

ასევე, ანგარიში მოიცავს ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით, ბუნებრივ გარემოზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე, სოციალურ გარემოზე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლსა და სხვა ობიექტზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ.

ანგარიში შესრულებულია საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

სკრინინგის ანგარიშს თან ახლავს დანართები:

დანართი #1 მიწის საკუთრების დამადასტურებელი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან


დანართი #2 ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

ტექნოლოგიური პროცესის აღწერა

სარწყავი წყლის აღება ხდება მდინარე იორიდან, რომელიც სათავეს იღებს კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, მწვერვალ ბორბალოსთან, ზღვის დონიდან 2600 მ სიმაღლეზე. იორის სიგრძეა 320 კმ, აუზის ფართობი — 4 650 კმ². წყლის საშუალო ხარჯი შესართავიდან 43 კმ-ში 12 მ³/წმ. საზრდოობს ძირითადად თოვლისა და წვიმის წყლებით.

ბალის მოსარწყავად იგეგმება წვეთოვანი სისტემის მოწყობა. (იხილეთ რუკა #1) სარწყავი სისტემა წყლით მომარაგდება მდინარე იორიდან. აღნიშნული ნაკვეთიდან, მდინარე იორი დაშორებულია 2 320 მეტრით.

რუკა #1 შპს „ივრის ნუშები“ წვეთოვანი სარწყავი სისტემის გეგმარება



წყალაღების წერტილი უნდა მოეწყოს მდინარის ნაპირიდან არანაკლებ 6 მეტრის მოშორებით. წყალი ელექტრო ტუმბოს საშუალებით მიეწოდება შემკრებ ავზს, ავზი განთავსდება ნაკვეთში, წყალაღების წერტილთან მაქსიმალურად სიახლოვეს.

მდინარიდან წყლის ამოქაჩვა მოხდება 225 მმ. დიამეტრის მქონე მიწისქვეშა მილით, რისთვისაც გაიჭრდება ტრანშეა. ტრანშეის (100X40) გაჭრის დროს მოიხსნება ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და მილის ჩადების შემდეგ უკუმიყრება გათხრილ ტერიტორიას. დამატებით ნიადაგის ფენაზე რაიმე ტიპის ზემოქმედება არ იგეგმება. გარდა ამისა მიწისქვეშა კომუნიკაციების ზემოთ შესაძლებელი იქნება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმოება.

ელექტრო ტუმბოს მოსათავსებლად საჭირო იქნება არმირებული მოედანის მოწყობა (2X2 მ) რომელიც უნდა გადაიხუროს მარტივი ტიპის კონსტრუქციით. სხვა რაიმე ტიპის კონსტრუქციის აშენება პროექტით გათვალისწინებული არ არის.

ტუმბოს ძირითადი ტექნიკური პარამეტრები:

1. წარმადობა: 150.0 m³/h
2. მისაღები წყლის დებეტი: 150 მ³/სთ. წნევა: 8.3 ბარი
3. ელექტრო ძრავის სიმძლავრე: 55.00 კვტ, 2900 ბრუნვის სიხშირე წუთში

ტუმბოს მოდელი:



შემკრები ავზიდან წვეთოვანი სარწყავი სისტემის საშუალებით მოხდება მცენარეთათვის წყლის მიწოდება. წყლის მოხმარებული მოცულობა წელიწადში შეადგენს 59,591 კუბურ მეტრს. გამოყენებული წყლის რაოდენობა თვეების მიხედვით ცვალებადია:

თვე	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი
მოცულობა	2795.3	10588.3	8470.6	10588.3	10588.3	8470.6	5294.2	2795.3
	მ ³	მ ³	მ ³	მ ³	მ ³	მ ³	მ ³	მ ³

სისტემა გათვლილია მაქსიმალურ მოთხოვნილებაზე.

საქმიანობის პროცესში გამოყენებული წყლების ჩაშვება წყალსატევებში არ მოხდება.

ტერიტორია უზრუნველყოფილია მისასვლელი გზის გზით, შესაბამისად ნაკვეთამდე მისასვლელად რაიმე ტიპის სამშენებლო სამუშაოები განსახორციელებელი არ არის.

პროექტით განსაზღვრული სამუშაოების განხორციელებისთვის სამშენებლო ბანაკის და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა დაგეგმილი არ არის.

ზემოქმედება ბუნებრივ გარემოზე

ატმოსფერული ჰაერი

დაგეგმილი საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში არ ხდება არავითარი გაფრქვევა რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება.

სამუშაოების დროს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების ფაქტორებიდან შეიძლება აღვნიშნოთ სამშენებლო ტექნიკის გამონაბოლქვით გამოწვეული ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება, რომელიც იქნება უმნიშვნელო და დროებითი ხასიათის.

ხმაური

გარემოს ხმაურით დაბინძურება მოსალოდნელია მხოლოდ მშენებლობის ეტაპზე - სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობით გამოწვეული. თუმცა აღნიშნული ზემოქმედებას აქვს დროებითი ხასიათი, რადგან სამუშაოები განხორციელდება შემჭიდროვებულ ვადებში.

ზემოქმედება კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე

რეგიონი მდიდარია კულტურული, ისტორიული ღირსშესანიშნაობებით. რეგიონში მრავლადაა ეკლესია-მონასტრები, არამატერიალური კულტურული ძეგლები.

აღნიშნული ღირსშესანიშნაობები საპროექტო ტერიტორიაზე არ ხვდება რაც გამორიცხავს ისტორიულ-კულტურულ გარემოზე ზეგავლენას.

ნარჩენების წარმოქმნა

საქმიანობის შედეგად არ წარმოიქმნება არანაირი სახის ნარჩენი, მათ შორის ადგილი არ აქვს საყოფაცხოვრებო ნარჩენის წარმოქმნას.

საპროექტო ტერიტორიის ბიომრავალფეროვნების მიმოხილვა


გარემოს შემსწავლელი საველე სამუშაოები ჩატარებულ იქნა ამა წლის სექტემბრის დასაწყისში.

საქმიანობის განხორციელების ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ მთლიანად წარმოდგენილია აგროლანდშაფტები, სასოფლო-სამეურნეო ტიპის მიწები და მეორეული გზები.

აღსანიშნავია, რომ საპროექტო ტერიტორია არ არის მოქცეული რაიმე დაცული ან განსაკუთრებული სტატუსის მქონე ტერიტორიებში. მიუხედავად იმისა რომ საპროექტო ტერიტორიის დაშორება ზურმუხტის ქსელის კანდიდატი საიტიდან „კოწახურა GE0000051“ (იხილეთ შესაბამისი სიტუაციური სქემა, ნახაზ N1-ში) 2.5 კმ-ია, დაგეგმილ საქმიანობას მისი მასშტაბიდან გამომდინარე არ ექნება რაიმე სახის ზეგავლენა.

სარწყავი მილის დერეფნის სამშენებლო საპროექტო ტერიტორიაზე არ არის მოქცეული რაიმე სენსიტიური ჰაბიტატი ან საქართველოს წითელი ნუსხით დაცული რომელიმე სახეობა ფლორისტული თუ ფაუნისტური თვალსაზრისით, ამასთან აღსანიშნავია რომ პროექტი არ ითვალისწინებს ხე-მცენარეების მოჭრას.

ნახაზი N1. საპროექტო ტერიტორიის სიტუაციური სქემა



ფლორისტული შემადგენლობის დახასიათება

უშუალოდ საპროექტო დერეფნის ბუფერულ ზონაში გვხვდება ორი ტიპის ჰაბიტატი, რომელიც ევროპის ბუნების ინფორმაციული სისტემის (European Nature Information System), EUNIS-ის ჰაბიტატების ნუსხის მიხედვით კლასიფიცირდება შემდეგ ჰაბიტატად:

- I რეგულარულად ან ახლახანს დამუშავებული სასოფლო სამეურნეო მიწები, ნაკვეთები ან საკარმიდამო ბაღები
- G1.3 ხმელთაშუაზღვისპირული ჭალის ტყე

ამათგან, ძირითადად პროექტის განხორციელებით ხდება I ჰაბიტატის (აგროლანდშაფტების) კვეთა, ხოლო ძალიან მცირე მონაკვეთზე - უშუალოდ მდინარიდან წყალაღების ტერიტორიაზე ვხვდებით მდინარისპირა ჭალის ტყის ფრაგმენტს, რომელიც გამეჩხერებულია და მეტწილად შეინიშნება მეორეული მცენარეები. საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ზოგიერთი მცენარის ფოტომასალა იხილეთ ქვემოთ.

სასოფლო-სამეურნეო დასახლებებისა და სავარგულების მცენარეულობა შეიძლება დავახასიათოთ შემდეგნაირად:

სოფლის დასახლებებისა და სავარგულების მცენარეულობა საინტერესოა ეკონომიკური მნიშვნელობის მცენარეების თვალსაზრისით. განსაკუთრებით კულტურული მცენარეების ველური ნათესავების და ხალხურ და მეცნიერულ მედიცინაში გამოყენებული მრავალი აბორიგენული, ინვაზიური და ადვენტური მცენარის სახეობის გამო. მათ შორისაა: ვარდკაჭაჭა (*Cichorium intybus*), მიძო (*Melilotus officinalis*), ფარსმანდუკი (*Achillea millefolium*), ბირკავა (*Agrimonia eupatoria*), მხოხავი ჭანგა (*Agropyron repens*) ქრისტესისხლა (*Chelidonium majus*), მრავალძარღვა (*Plantago major*), ლენცოფა (*Hyoscyamus niger*) და სხვ.

სურათი N2





Tamarix ramossissima



Paliurus spina-christi



Crataegus microphylla



Rubus hirtus

სურათი N3

ფაუნისტური შემადგენლობის დახასიათება

დაგეგმილი საპროექტო არეალი ფაუნის წარმომადგენლებისთვის დაბალ სენსიტიურია, ვინაიდან ისინი მიგრირებენ და ფარავენ დიდ ტერიტორიებს, შესაბამისად დაგეგმილი ეს მცირე მასშტაბის საქმიანობა მათ ცხოვრების ნირსა თუ საცხოვრებელი გარემოს პირობებზე გავლენას არ მოახდენს.

ძუძუმწოვრებიდან (კლასი: Mammalia) ლიტერატურული მონაცემების და საველე კვლევების მიხედვით აქ გავრცელებულია - მწერიჭამიებიდან: ზღარბი (*Erinaceus concolor*), თხუნელა (*Talpa levantis*), კავკასიური ბიგა (*Sorex satunini*), მღრნელებიდან: ჩვეულებრივი ძილგუდა (*Glis glis*), ბუჩქნარის მემინდრია (*Terricola majori*), მცირე თაგვი (*Apodemus uralensis*), სტეპის თაგვი (*Sylvaemus fulvipectus*), და ა.შ. მტაცებლებიდან აღსანიშნავია: დედოფალა (*Mustela nivalis*), მაჩვი (*Meles meles*), მელა (*Vulpes vulpes*), ენოტი (*Procyon lotor*), და სხვა.

საკვლევ ტერიტორიაზე და მის შემოგარენში გავრცელებული ზოგიერთი მათგანის საცხოვრებელი არეალის დამადასტურებელი ფოტომასალა სურათ N4-ში.



სურათი N4. მემინდრიას (*Terricola*) სოროები

ფრინველებიდან (კლასი: Aves)-ლიტერატურული და საველე კვლევის შედეგების მიხედვით აქ გავრცელებულია: შოშია (შროშანი) (*Sturnus vulgaris*), სახლის ბელურა (*Passer domesticus*), ჩვეულებრივი ბოლოცეცხლა (*Phoenicurus phoenicurus*), ჭინჭრაქა (*Troglodytes troglodytes*), შავთავა გრატა (*Emberiza melanocephala*), ჩვეულებრივი ღაქო (*Lanius collurio*), ჩვეულებრივი მელორღია (*Oenanthe oenanthe*), ჩვეულებრივი კაკაჩა (*Buteo buteo menetriesi*), ქორი (*Accipiter gentilis*), თეთრი ბოლოქანქარა (*Motacilla alba*), სკვინჩა (*Fringilla coelebs*), ქალაქის მერცხალი (*Delichon urbicum*), სოფლის მერცხალი (*Hirundo rustica*), შაშვი (*Turdus merula*), თოხიტარა (*Aegithalos caudatus*), გულწითელა (*Erithacus rubecula*), დიდი წივწივა (*Parus major*), რუხი ყვავი (*Corvus corone*), ყორანი (*Corvus corax*), ჩიტბატონა (*Carduelis carduelis*), და სხვ.

ქვეწარმავლებიდან და ამფიბიებიებიდან (კლასი: Reptilia et Amphibia) ლიტერატურული და საველე კვლევის შედეგების მიხედვით საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელებულია -

ქვეწარმავლებიდან: სპილენძა (*Coronella austriaca*), ბოხმეჭა (*Anguilla fragilis*), წყლის ანკარა (*Natrix tessellata*), ჩვეულებრივი ანკარა (*Natrix natrix*), ქართული ხვლიკი (*Darevskia rudis*) და მდელის ხვლიკი (*Darevskia praticola*). ამფიბიებიებიდან: ტბორის ბაყაყი (*Pelophylax ridibundus*) და მცირეაზიური ბაყაყი (*Rana macrocnemis*).

საპროექტო ტერიტორიის უშუალო დერეფანში არ ვხვდებით საქართველოს წითელი ნუსხით დაცულ რომელიმე სახეობას. საერთო ჯამში პროექტის გავლენის ზონაში არსებულ ბიომრავალფეროვნებაზე გავლენა შეიძლება შეფასდეს როგორც უმნიშვნელო.

ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობასა და სოციალურ მდომარეობაზე

დაგეგმილი საქმიანობის პროცესში მომსახურე პერსონალის და სხვა ადამიანებზე, მათ ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

შპს „ივრის ნუშების“ -ის საქმიანობა დადებითად აისახება სოციალურ გარემოზე.

დასკვნა

დაგეგმილი საქმიანობის მასშტაბების და არსებული ფონური მდგომარეობის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისთვის ადგილის ანთროპოგენული დატვირთვიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი შემარბილებელი ღონისძიებების გატარება საჭირო არ იქნება.

შერჩეული საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს დაბალ სენსიტიურ არეალს, როგორც ფლორისტული, ისე ფაუნისტური თვალსაზრისით.

შერჩეული საპროექტო ტერიტორია არ ექცევა რაიმე დაცული ტერიტორიის ფარგლებში.

შპს „აგრო სოლუშენს“



სკრინინგის ანგარიშში წარმოდგენილი გარემოებებიდან გამომდინარე - პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოებს არ აქვს მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარემოს რომელიმე კომპონენტზე.

სკრინინგის ანგარიში შემუშავებულია საკონსულტაციო კომპანია „აგრო სოლუშენს“ -ის (ს/კ 419997007) მიერ.

17.09.2021

დირექტორი

დიანა ბერია

A handwritten signature in blue ink, appearing to read 'D. Beria', is written over the printed name.